თანხმობა

მე, დავით მეშველაშვილი (დაბადებული: 27/07/1973 წელს, პირადი ნომერი 01017023960, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 83, IV ბლოკი, ბინა 31), როგორც გამყიდველი უძრავი ქონებისა, მდებარე ქ. თბილისში, ჭყონდიდელის # 22_ში (ს/კ 01.12.12.024.196), თანახმად უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებისა, გაფორმებული 23/08/2018 წელს, ვაცხადებ თანხმობას მასზედ რომ მყიდველმა ,,გრადბურგ დეველოპმენტმა“ ს/კ 404497656, მის კუთვნილ ზეოაღნიშნულ ქონებაზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები, ასევე თანახმა ვარ მოხდეს პროექტის ცვლილება AR1705969 განაცხადით წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამაჩნია, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

განმცხადებელი დავით მეშველაშვილი

საქართველო, ქ. თბილისი, ორი ათას ცხრამეტი წლის ცამეტი სექტემბერი

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა #105, გამოცხადდა: დავით მეშველაშვილი (დაბადებული: 27/07/1973 წელს, **პირადი ნომერი** 01017023960, **რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 83, IV ბლოკი, ბინა 31**). მან წარმომიდგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა წინამდებარე განცხადებაზე, რასაც ვამოწმებ.

თანხმობის ერთ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 2.00 (ორი ლარი + დღგ 0,36 (ოცდათექვსმეტი თეთრი) და + 2 (ორი) ლარი იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 4,36 (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო სალაძე

საქართველო GEORGIA ნოტარიუსი NINO SALADZE 01017023960

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191116443
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო სალაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ც. დადიანის #105
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 660 383
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	55404020516519

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს
და დაინტერესებულ პირებს
მოქალაქის:
დავით მეშველაშვილის

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, **დავით მეშველაშვილი (პირადი ნომერი** 01017023960), როგორც გამყიდველი უძრავი ქონების მდებარე ქ.თბილისში, ჭყონდიდელის #22-ში (ს/კ 01.12.12.024.196) თანახმად უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებისა გაფორმებული 23.08.2018 წელს, ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ მყიდველმა შპს "გრადბურგ დეველოპმენტმა" (ს/კ 404497656) მის კუთვნილ ზემოაღნიშნულ ქონებაზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით არ გამაჩნია არანაირი პრეტენზია, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

განმცხადებელი:

დავით მეშველაშვილი

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №105, გამოცხადდა: **დავით მეშველაშვილი (დაბადებული 27.07.1973 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 83, IV ბლოკი, ბინა 31, პირადი ნომერი** 01017023960). მან წარმომიდგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა წინამდებარე ხელწერილზე, რასაც ვამოწმებ.

ერთ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 2.00 (ორი) ლარი + დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი თეთრი) და + 2 (ორი) ლარი 00 თეთრი დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 4.36 (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო სალაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190815652
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო სალაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ც. დადიანის #105
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 660 383
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	14718024417619

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

უძრავი ქონების განვადებითი ნასყიდობის ხელშეკრულება

წინამდებარე **უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება** (შემდგომში "**ხელშეკრულება**") დაიდო 2018 წლის 23 აგვისტოს შემდეგ მხარეებს შორის:

შპს "გრადბურგ დეველოპმენტის" ს/კ (404497656), დირექტორი იოსებ დუდუჩავა (საქართველოს მოქალაქე, დაბ.თბილისში, საქართველო, დაბ: თარიღი: 29.05.1972; პირადი ნომერი 01017015420; მცხოვრები: საქართველო, თბილისი, კ. მაყაშვილისქ. №1/22) (შემდგომში"**მყიდველი**");

და

დავით მეშველაშვილი (საქართველოს მოქალაქე, დაბ.ქ. თბილისში, საქართველო, დაბ: თარიღი: 27.07.1973; პირადი ნომერი 01017023960 ; მცხოვრები: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ #83 ბლოკი 4 ბინა 31) (შემდგომში "**გამყიდველი**") შორის;

გამყიდველი და მყიდველი შემდგომში ერთად "**მხარეები**", ცალ-ცალკე – "**მხარე**"

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია გამყიდველის საკუთრებაში არსებული (მისამართი: ქ. თბილისი: ჭყონდიდელის ქ. № 22; საკადასტრო კოდი :N 01.12.12.024.196) (შემდგომში „**უძრავიქონება**") მყიდველისათვის საკუთრების უფლების სასყიდლიანი გადაცემა განვადებით. უძრავი ქონების მახასიათებლებია:

- სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01
- სექტორი: 12
- კვარტალი 12
- ნაკვეთის ნომერი: 024/196
- ფართობი: 4510.00 კვ.მ
- მისამართი: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. №22;
- უფლება: საკუთრება;
- ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო
- მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N 01.12.12.024.196;
- მესაკუთრე: დავით მეშველაშვილი;

მუხლი 2. ნასყიდობის ფასი

უძრავი ქონების მთლიანი ნასყიდობის ფასი (შემდგომში „ნასყიდობის ფასი") შეადგენს 676,500,000 (ექვსას სამოცდათქვსმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს გადახდის დღეს სებ-ის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

3.1 გამყიდველის განცხადებები და გარანტიები:

3.1.1 ხელშეკრულების დადების ასევე მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტისათვის გამყიდველი აცხადებს და გარანტიას აძლევს მყიდველს:

ა) გამყიდველი წარმოადგენს ფიზიკურ პირს და გააჩნია უფლებამოსილება და შესაძლებლობა დადოს წინამდებარე ხელშეკრულება და შეასრულოს მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები;

ბ)გამყიდველი წარმოადგენს უძრავი ქონების ერთადერთ კანონიერ მესაკუთრეს და მფლობელს;

გ) გამყიდველს აქვს შეუზღუდავი უფლება და შესაძლებლობა დადოს წინამდებარე ხელშეკრულება და სრულად შეასრულოს მისგან გამომდინარე ვალდებულებები. ხელშეკრულების დადების და მისი შესრულებისათვის გამყიდველს მიღებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მეუღლის მიერ წინამდებარე გარიგების დადების ნებართვას და შესრულებული აქვს ყველა საჭირო მოქმედება. სხვა თანხმობა, ნებართვა ან მოქმედება არ არის საჭირო ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულებისთვის;

დ) წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია სათანადო წესით, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და წარმოადგენს ნამდვილ, მხარეთა მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნას მოთხოვნილი მხარეების მიერ;

ე) უძრავი ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის გადაცემული ნებისმიერ მესამე პირზე გაყიდვით, გაცვლით ან უსასყიდლოდ გადაცემით ან სხვა ნებისმიერი სახით არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არ არის ექსპროპრირებული, ნაციონალიზებული, დაყადაღებული და აშ.;

ვ) უძრავი ქონება არ არის დატვირთული ყადაღით, სხვა ვალდებულებით მესამე პირის სასარგებლოდ მათ შორის უპირატესი შესყიდვის უფლებით ან სხვა უპირატესი უფლებით. მყიდველისთვის ცნობილია, რომ ნასყიდობის საგანი დატვირთულია იპოთეკით თიბისი ბანკის სასარგებლოდ.

ზ) არ მიმდინარეობს რაიმე სამოქალქო ან ადმინისტრაციული წარმოება, იძულებითი აღსრულება ან სხვა პროცედურა, რაც დაკავშირებულია უძრავ ქონებაზე საკუთრებასთან, მფლობელობასთან ან სარგებლობასთან; არ მიმდინარეობს წარმოება, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადახედვასთან და ცვლილებასთან, გამყიდველის საკუთრების უფლებას სადაოდ არ ხდის რომელიმე მესამე მხარე; გამყიდველს არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი საკუთრების უფლებას რაიმე ემუქრება ან დაემუქრება მომავალში;

თ) არ არსებობს ინფორმაცია ან ფაქტი, რომლის გათვალისწინებითაც გონიერი მყიდველი არ შეიძენდა უძრავ ქონებას ნასყიდობის ფასად ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ი) გამყიდველი აცნობიერებს, რომ მყიდველმა დადო წინამდებარე ხელშეკრულება მხოლოდ გამყიდველის ყველა განცხადებებსა და გარანტიებზე სრული დაყრდნობით.

3.1.2 მყიდველის განცხადებები და გარანტიები

ხელშეკრულების დადების, ასევე მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტისათვის მყიდველი აცხადებს და გარანტიას აძლევს გამყიდველს:

ა) მყიდველი წარმოადგენს საქართველოს კანონონმდებლობით სათანადოდ რეგისტრირებულ და მოქმედ საზოგადოებას და გააჩნია უფლებამოსილება და შესაძლებლობა დადოს წინამდებარე ხელშეკრულება და შეასრულოს მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები;

გ) მყიდველს აქვს შეუზღუდავი უფლება და შესაძლებლობა დადოს წინამდებარე ხელშეკრულება და სრულად შეასრულოს მისგან გამომდინარე ვალდებულებები. ხელშეკრულების დადების და მისი შესრულებისათვის მყიდველს მიღებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა და შესრულებული აქვს ყველა საჭირო მოქმედება;

გ) მყიდველი აცხადებს რომ მას შეუძლია იმ თანხების გაღება, რომელიც საჭიროა ნასყიდობის ფასის გადასახდელად ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

დ) მყიდველმა დადო წინამდებარე ხელშეკრულება მხოლოდ გამყიდველის ყველა განცხადებებსა და გარანტიებზე სრული დაყრდნობით.

მუხლი 4. ადახდის წესი; საკუთრებისუფლებისგადაცემა

4.1 მხარეები შეთანხმდენ ნასყიდობის ფასის გადახდის შემდეგ წესზე: ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის მყიდველს გამყიდველისთვის გადახდილი აქვს 50,000 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხას ლარში, 75,000 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხას ლარში მყიდველი გამყიდველს გადაუხდის არაუგვიანეს 2019 წლის 15 მაისამდე. დარჩენილი თანხის - 551,500.00 (ექვსას სამოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტური ლარის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2023 წლის 15 მაისამდე.
4.1.1 გამყიდველი უფლებამოსილია 4.1 პუნქტში მითითებული დარჩენილი თანხის ან დარჩენილი თანხის ნაწილის ნაცვლად მიიღოს მყიდველის მიერ ნასყიდობის საგანზე ასაშენებელ შენობა-ნაგებობებში საცხოვრებელი ან/და კომერციული ფართები. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, ერთი კვ.მ. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ფართის ღირებულება შეადგენს 450 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში (დღგ ს ჩათვლით).

4.1.3წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების მყიდველის სახელზე დარეგისტრირების შემდეგ, ნასყიდობის თანხის გამყიდველისთვის გადაცემამდე, მყიდველი მიიღებს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას და ნებისმიერი გზით შეძლებს მის განკარგვას გარდა გასხვისებისა მანამ, სანამ მყიდველი გამყიდველს სრულად არ გადაუხდის ნასყიდობის თანხას დადგენილ ვადაში.

4.2 თუ კი მყიდველი დაარღვევს თავის ვალდებულებებს ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით, წინამდებარე ხელშეკრულება უნდა ჩაითვლოს ბათილად. ამასთან, მყიდველი გამყიდველს გადაუხდის პირგასამტეხლოს 10,000.00 აშშ დოლარის ოდენობით.

მუხლი 5. ხელშეკრულებისძალაშიშესვლა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე;

მუხლი 6. უძრავქონებაზემფლობელობისგადაცემა, დოკუმენტებისგადაცემა

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს უძრავ ქონებაზე სრული და შეუზღუდავი მფლობელობა უძრავი ქონების მყიდველის საკუთრებაში გადასვლის დღეს, თავისუფალი ნებისმიერი მესამე პირის უფლებისაგან. გამყიდველი ვალდებულია მყიდველისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მფლობელობის გადაცემასთან ერთად მის ხელთ არსებული ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან.

მუხლი 7. რისკისგადასვლა

ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი მყიდველზე გადადის მყიდველისათვის უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემის მომენტში.

მუხლი 8. ნაკლის გამოსწორება, ზიანის ანაზღაურება და დავალიანების გადახდა

8.1 თუკი უძრავ ქონებას აღმოაჩნდება არსებითი ქონებრივი ან უფლებრივი ნაკლი, ასევე საგადასახადო ვალდებულება, რომლის შესახებაც ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის არ შეიძლებოდა სცოდნოდა გამყიდველს, ის ვალდებულია მყიდველის მოთხოვნით გამოასწოროს ნაკლი საკუთარი სახსრებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ნაკლი აღმოფხვრილ იქნა 8.1 მუხლში დადგენილი წესით, მყიდველს არ ექნება არანაირი დამატებითი პრეტენზია გამყიდველის მიმართ.

8.3 მყიდველი უფლებამოსილია მოთხოვოს გამყიდველს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მყიდველს მიადგა გამყიდველის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევით.

8.4 თუკი მყიდველის მიერ მიცემული რომელიმე გარანტია დაირღვა ან არასწორი აღმოჩნდა, მყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს გამყიდველს ამის შედეგად წარმოშობილი ზიანი ასევე პირდაპირი და ირიბი ხარჯები სრული ოდენობით.

მუხლი 9. კონფიდენციალურობა

გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, მხარემ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის განდობილი ინფორმაციის მიმართ.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

10.1 არც ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ

განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ მხარეს არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით;

10.2 ეს განსაკუთრებული გარემობები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო მოქმედებებს ან სხვა მსგავს მოქმედებებს;

10.3 მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, განთავისუფლდება მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ფორს-მაჟორული გარემოება ხელს უშლის მის მიერ ვალდებულებების შესრულებას, და იგი არ განთავისუფლდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან, რომელსაც ხელს არ უშლის ფორს-მაჟორული გარემოება;

10.4 მხარეს, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, მიზანშეწონილ ფარგლებში გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა და შეაფერხა ფორს-მაჟორულმა გარემოებამ.

მუხლი 11. მოქმედი სამართალი

ხელშეკრულება წესრიგდება და განიმარტება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების ეგზემპლარები

ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული, წარმოადგენს ორიგინალს, ხოლო ყველა მათგანი კი ერთი და იმავე ხელშეკრულებას.

მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები

მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულების დებულებებს და მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი.

გამყიდველი _____

მყიდველი _____